სამსჯავროს დღეს ადამიანი ვერ გადაადგამს ნაბიჯს, სანამ მას არ ჰკითხავენ: მის სიცოცხლეზე – როგორ გაატარა იგი, მის ცოდნაზე – როგორ გამოიყენა იგი, მის ქონებაზე – საიდან შეიძინა და სად დახარჯა, მის სხეულზე – თუ რას შეალია იგი

გადმოცემულია აბუ ბარზა ალ-ასლამისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სამსჯავროს დღეს ადამიანი ვერ გადაადგამს ნაბიჯს, სანამ მას არ ჰკითხავენ: მის სიცოცხლეზე – როგორ გაატარა იგი, მის ცოდნაზე – როგორ გამოიყენა იგი, მის ქონებაზე – საიდან შეიძინა და სად დახარჯა, მის სხეულზე – თუ რას შეალია იგი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ სამსჯავროს დღეს არცერთი ადამიანი ვერ გადავა ანგარიშგების ადგილიდან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, სანამ მას არ ჰკითხავენ შემდეგ საკითხებზე: პირველი: მისი სიცოცხლე – როგორ გაატარა და რაში დახარჯა იგი? მეორე: მისი ცოდნა – ალლაჰისთვის შეიძინა იგი? დაიცვა და მოიყვანა ის პრაქტიკაში? გადასცა თუ არა იმათ, ვინც მისი ღირსი იყო? მესამე: მისი ქონება – საიდან მოიპოვა იგი? იყო ეს ნებადართული თუ (აკრძალული)? და რაში დახარჯა იგი? ალლაჰის კმაყოფილებაში თუ მის მრისხანებაში? მეოთხე: მისი სხეული, ძალა, ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა – როგორ გამოიყენა და რაში გამოიყენა ისინი?

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4950